



106/4-2/22 2 13012022

106/4-2/22

13-01-2022

საქართველოს გენერალურ პროკურორს

ბატონ ირაკლი შოთაძეს

როგორც მოგეხსენებათ, „2004–2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის N5432-II ს დადგენილების მე-8 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის მიხედვით, უზრუნველყოფილ უნდა ყოფილიყო, მათ შორის, საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა შესაძლებლობათა გაძლიერება წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის, ეფექტური რეაგირებისა და გამოძიების, აგრეთვე მსხვერპლთა ინტერესების დაცვის გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) რა ღონისძიებებია განხორციელებული ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით;
- ბ) როგორ მიმდინარეობს გამოძიებები მსხვერპლთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს პროკურატურა
საქართველოს გენერალური პროკურატურა
Prosecution Service of Georgia
Office of the Prosecutor General of Georgia



0114 ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა №24 ტელ: 2 405 344; 2 405 345
ელ.ფოსტა: kancelaria@pog.gov.ge; www.pog.gov.ge

KARR1373417375022

№13/2686

21 / იანვარი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 13-01-2022 წ. 1106/4-2/22 წერილის პასუხად, გაცნობებთ რომ საქართველოს პროკურატურის გამომძიებელთა და პროკურორთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, წამების აგრეთვე დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულზე ეფექტური რეაგირების და გამოძიების კუთხით ჩატარდა არაერთი მიზნობრივი სწავლება და ტრენინგი, რომელთა ამოცანა იყო დასახელებული პროფილის საქმეებზე გამომძიებელთა და პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს იმ საქმეებზე ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფა, რომლებიც მსჯავრდებულ პირთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულს შეეხება, სწორედ ამ მიზნით სხვადასხვა საგამომძიებო უწყებიდან ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის საქმეები, რომელიც შეეხებოდა სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებებში პატიმართა წამებას და ეფექტური გამოძიების მიზნით გადაცემული იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომძიებო ნაწილისთვის. ამავდროულად გამოძიების ხარისხის ამაღლების მიზნით, ჩამოყალიბდა შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული საგამომძიებო ჯგუფები, რომლებსაც წარმოებაში გადაეცათ დასახელებული პროფილის საქმეები.

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 18-ე (გლდანის ციხე), ასევე რუსთავის 16-ე დაწესებულებებში მსჯავრდებულთა წამების საქმეები, რომლებიც ეფექტური გამოძიების მიზნით გადაეცა გენერალური პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის, შედეგად მითითებულ საქმეებზე მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. კერძოდ გამოვლენილ იქნა 18-ე და 16-ე დაწესებულების ყოფილი თანამშრომლები, რამოდენიმე ათეული პირი, მათ შორის მაღალჩინოსნები, რომლებიც პასუხისმგებაში იქნენ მიცემული პატიმართა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ეპიზოდებზე. დასახელებულ საქმეებზე დაზარალებულად იქნა ცნობილი ათეულობით ყოფილი მსჯავრდებული. მოპოვებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ პატიმრების მიმართ სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა, მითითებულ დაწესებულებებში გახლდათ დანერგული პრაქტიკა, რასაც ჰქონდა სისტემური ხასიათი და გამიზნული იყო პატიმართა დამცირების, დაშინებისა და უსიტყვო მორჩილებისკენ.

საქართველოს პროკურატურის მიერ, ზემოთაღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ჩატარებული გამოძიების შედეგად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში, პატიმართა წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, მთლიანობაში პასუხისმგებაში მიეცა სასჯელაღსრულების 80-მდე თანამშრომელი, მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულებების დირექტორები, მათი მოადგილეები, რეჟიმის უფროსები, ასევე დაწესებულების საშუალო და მაღალი რგოლის ხელმძღვანელი პირები.

ყველა ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ეპიზოდი ჩადენილი იყო 2012 წლის ოქტომბრამდე პერიოდში. პროკურატურა ამ მიმართულებით აგრძელებს აქტიურ მუშაობას.

პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ი თ,

საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტურულად



ჯარჯი ნიკლაური